საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№144/18

2022 წელი, 18 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებს (სავალდებულო კომიტეტები), საპარლამენტო ფრაქციებს, საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფებს, განიხილონ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (№1-4764/22; 15.04.2022) და შენიშვნები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი), განიხილოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში (№1-4764/22; 15.04.2022), ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების (სავალდებულო კომიტეტები) შენიშვნები, მოამზადოს დასკვნა და წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი